



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საფინანსო სერვისები

განხორციელების ფორმა- კოოპერაციული

მარნეული

2019



პროფესიული პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656. ბრძანებით დამტკიცებული საფინანსო სერვისების პროფესიული სტანდარტის და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის სწავლების ფორმა - კოოპერაციული

პროფესიული პროგრამა დამტკიცებულია შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 16 თებერვლის N10 ბრძანებით

პროგრამაში შევიდა ცვლილება შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის:

2018 წლის 2 ოქტომბრის N 68 ბრძანებით

2019 წლის 19 თებერვლის N7 ბრძანებით

2019 წლის 10 აგვისტოს N 27 ბრძანებით

2019 წლის 21 ოქტომბრის N54 ბრძანებით

2019 წლის 24 დეკემბრის N75 ბრძანებით

2020 წლის 24 ივნისის N27 ბრძანებით

2020 წლის 21 სექტემბრის N51 ბრძანებით

2021 წლის 1 აპრილის N1298 ბრძანებით

2021 წლის 22 ნოემბრის N7324 ბრძანებით

2022 წლის 29 ივნისის N4925 ბრძანებით

2023 წლის 6 ნოემბრის N13819 ბრძანებით

2024 წლის 22 აპრილის N3971 ბრძანებით

2024 წლის 5 სექტემბრის N11657 ბრძანებით

2025 წლის 7 აპრილის N4781 ბრძანებით

პროგრამის ხელმძღვანელი -- შორენა ჩაჩავა



ძირითადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

1. **სახელწოდება** -საფინანსო სერვისები - Finance services
2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი** 04117-პ, რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“ (კოდი 0412).

4. **მიზანი** - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალს, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.
5. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები** - საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი
6. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები**

საფინანსო სერვისებში მესამე დონის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის -ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში მოლარისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

7. სტრუქტურა და მოდულები

„საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ფორმა -კოოპერაციული, პროგრამის მოცულობაა 52კრედიტი. აქედან, ზოგადიმოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 17, ხოლო სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულებისა - 35 კრედიტი. ჩარჩო დოკუმენტით პრაქტიკის საერთო ხვედრითი წილი შეადგენს 80 %-ს, ხოლო თეორიისა - 20 %-ს.

იმ პირებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, საფინანსო სერვისების მესამე დონის კვალიფიკაციისთვის უნდა დააგროვონ ჯამურად 67 კრედიტი.

მოცულობა - 67 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა - 12 თვე

იმ პირებმა, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, საფინანსო სერვისების მესამე დონის კვალიფიკაციისთვის უნდა დააგროვონ ჯამურად 52 კრედიტი.

მოცულობა - 52 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა - 9 თვე

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1		3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია		3
3	რაოდენობრივი წიგნიერება		2
4	უცხოური ენა		4
5	მეწარმეობა 1		2
6	სამოქალაქო განათლება		3
სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
7	გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები		1
8	ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები		2
9	სერვის პლუსი		1,5
10	სალაროს ოპერაციების განხორციელება	ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	3,5
11	ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება	ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	4
12	ანგარიშის გახსნა-დახურვა		4
13	სწრაფი ფულადი გზავნილები	ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება	1
14	უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები	ანგარიშის გახსნა-დახურვა	4
15	სადეპოზიტო მომსახურება	ანგარიშის გახსნა-დახურვა	4
16	საკრედიტო პროდუქტები		2
17	დისტანციური საბანკო მომსახურება		1.5
18	სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი		3
19	საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები	საფინანსო სერვისების ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდული	3,5
სულ:			52

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა- სწავლის შედეგები

პირს შეუძლია:

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო და საბანკო დაწესებულებებში;
- განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები;
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები;
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისადიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგებისადიარება განათლების დამცნირების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამა სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;

- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს - მარნეულის კოლეჯის პრეროგატივას. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ქართულიენა A2

მოდულების -ქართულიენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არუდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართულიენის მოდულით.

14. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადა

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტები:
 1. ბანკის მოლარე-ოპერატორის პროფესიული სტანდარტი
 2. მოლარის პროფესიული სტანდარტი, მოქმედების ვადა - 3 წელი.

დანართები:

ზოგადი მოდულები

- დანართი1. ინფორმაციული წიგნიერება 1
- დანართი2. ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- დანართი3. რაოდენობრივი წიგნიერება
- დანართი4. უცხოური ენა (ინგლისური)
- დანართი5. მეწარმეობა 1
- დანართი6. სამოქალაქო განათლება

სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები

- დანართი7. გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები
- დანართი8. ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები
- დანართი9. სერვის პლუსი



- დანართი10. სალაროს ოპერაციების განხორციელება
- დანართი11. ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება
- დანართი12. ანგარიშის გახსნა-დახურვა
- დანართი13. სწრაფი ფულადი გზავნილები
- დანართი14. უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები
- დანართი15. სადეპოზიტო მომსახურება
- დანართი16. საკრედიტო პროდუქტები
- დანართი17. დისტანციური საბანკო მომსახურება
- დანართი18. სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი
- დანართი19.საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები

- დანართი20. სასწავლო გეგმა
- დანართი21. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- დანართი №22 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი